# ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ვებ გვერდი – kedakids.ge

* დღევანდელ მსოფლიოს ციფრული სამყარო მართავს, ადამიანების უმეტესობა ინტერნეტის საშუალებით მოიპოვებს ინფორმაციას ნებისმიერი მომსახურების შესახებ.
* სკოლამდელი განათლებაც არ არის გამონაკლისი. მშობლებისთვის ბაღების შესახებ ინფორმაციის მიღება ინტერნეტის საშუალებით უფრო მარტივი და მოსახერხებელია, ამიტომაც ჩვენმა დაწესებულებამ იზრუნა შექმნა ვებგვერდი, რომელიც ორგანიზაციის პროფესიონალიზმის და პასუხისმგებლობის სიმბოლოა.

# გვერდის შექმნის მიზანი

* ქედის ბაგა-ბაღების ვებგვერდის შექმნის მიზანი იყო:

* ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საბავშვო ბაღის შესახებ მონაცემების ერთ ადგილას თავმოყრა.
* ბავშვის ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობა.
* მშობლებსა და სკოლამდელ დაწესებულებას შორის სწრაფი კავშირი.
* სიახლეების, ღონისძიებებისა და განცხადებების საჯარო ხელმისაწვდომობა.
* სააღმზრდელო დაწესებულების საქმიანობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

* იმისათვის, რომ ვებგვერდი მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და მარტივი გამოსაყენებელი ყოფილიყო, ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი რომელიც მუშაობდა ვებგვერდის შექმნაზე. მუშაობის პროცესში ჯგუფი გაეცნო მსგავს გვერდებს, გაითვალისწინა საუკეთესო პრაქტიკა, მოარგო საკუთარ საჭიროებებს და დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით დაქირავებული ვებ დეველოპერის მიერ შეიქმნა ვებგვერდი .
* kedakids.ge არის თანამედროვე, მომხმარებელზე ორიენტირებული პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას ქედის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღზე, ზრდის დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალეობას და ამარტივებს მშობლებისა და ადმინისტრაციის კომუნიკაციას.



# ვებგვერდის აღწერა

* საიტზე ინტუიციურად განლაგებულია გვერდები სადაც შეგიძლიათ მოიძიოთ ყველა სახის ინფორმაცია



* მათ შორის ყველა ძირითადი ინფორმაცია ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი ბაღების შესახებ: საბავშვო ბაღების რაოდენობა, მდებარეობა, ბაღის ხელმძღვანელები და მათი საკონტაქტო მონაცემები.



* საიტზე განთავსებულია დაწესებულების მისია და ხედვა, გაერთიანების სტრუქტურა, წესდება და სხვადასხვა მარეგულირებელი წესი, რასაც დაწესებულება იყენებს საქმიანობისას.









* ასევე პირველივე გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ ჩვენს დაწესებულებაში მიმდინარე სიახლეები და ღონისძიებები.






* საიტის 70% უჭირავს რეგისტრაციის გვერდს, სწორედ ეს არის მისი შექმნის ძირითადი მიზანიც, რეგისტრაციის გვერდი აწყობილია ბაღში რეგისტრაციის მსურველთათვის გასაგები ინტერფეისით ქართულ ენაზე, სადაც ნათლად წერია წესები და პირობები ბავშვის ბაღში რეგისტრაციისთვის და საჭირო დოკუმენტაციის შესახებ



Kindergarten

გადაამოწმეთ რეგისტრაცია პირადი წომრით

ძებნა პირადი ნომრით | ძებნა

მთავარი | + ახალი რეგისტრაცია

ზოგადი წესები:

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაცია იწარმოებს განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში.

საბავშვო ბაღების ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის განმახორციელებელი პასუხს აგებს სისტემაში შეყვანილი მონაცემების სისწორეზე.

საბავშვო ბაღში ირიცხებიან ბავშვები რომელთაც რეგისტრაციის დაწყების თარიღისთვის უსრულდებათ 2 წელი;

ბავშვები, რომელთაც საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დაწყების დღისთვის შეუსრულდათ 6 წელი, მაგრამ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ან/და შესაბამისი კომისიის მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაციის საფუძველზე ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მათი სკოლაში შესვლა, მიუხედავად ასაკისა.

რეგისტარციისას ივსება სარეგისტრაციო ფორმა, რომელშიც რეგისტრაციის მსურველის მიერ სავალდებულოა შეტანილი იქნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასურველი სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება;

ბ) ბავშის პირადი ნომერი;

გ) ბავშვის სახელი და გვარი;

დ) ბავშვის დაბადების თარიღი;



Kindergarten — ახალი რეგისტრაცია

| | |
|---|---|
| სახელი: ბავშვის სახელი | გვარი: ბავშვის გვარი |
| პირადი ID: ბავშვის პირადი ნომერი | დაბ. თარიღი: mm/dd/yyyy |
| სქესი / ჯგუფი | ბაღის დასახელება |
| მამის სახელი გვარი: მამის სახელი გვარი | დედის სახელი გვარი: დედის სახელი გვარი |
| მამის პირადი ნომერი: მამის პირადი ნომერი | დედის პირადი ნომერი: დედის პირადი ნომერი |
| მეურვეს სახელი გვარი: თუ ასეთი არსებობს; მეურვეს პ/ნ: ID ნომერი | სტატუსი: აირჩიე |
| ელ-ფოსტა: ლათინური შრიფტით | მობილური: მშობლის მობილური |

ერთ-ერთი მშობლის რეგისტრაციის ადგილი

* რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მომხმარებელს რეგისტრაციის დროს მითითებულ ნომერზე მისდის სმს დადასტურება, ასევე მას შეუძლია პირადი ნომრით გადაამოწმოს არის თუ არა ბავშვი ბაზაში.



# ვებგვერდის გამოყენების დადებითი მხარეები

* მომხმარებლისთვის:

სკოლამდელი დაწესებულებისა და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მარტივად მოძიება.

ბავშვის ბაღში რეგისტრაცია მარტივად- სახლიდან გაუსვლელად.

შესაძლებლობა სწრაფად გაიგონ ცვლილებების ან ახალი ღონისძიებების შესახებ.

* ადმინისტრაციისთვის:

ეფექტური კომინიკაცია მშობლებთან და მუნიციპალიტეტთან.

ღონისძიებებისა და სიახლეების მარტივი განახლება და გაზიარება.

მენეჯმენტის გამარტივება-სტატისტიკის სწრაფი შეგროვება.

* გმადლობთ ყურადღებისათვის